საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური

MINISTRY OF INTERNAL AFFAIRS OF GEORGIA SUBORDINATED STATE ENTITY – EMERGENCY MANAGEMENT SERVICE

სსიპ კოლეჯი "ერქვანი"
ს/კ 222934671
შემოსვლი № 31
15 " 04 2021 წ.

შემსრულებელი

MIA 7 21 00899526

12/04/2021

სსიპ პროფესიული კოლეჯი "ერქვანი"-ს

დირექტორს ფრიდონ ბუაძეს

მისამართი : ქ. ამბროლაური, ვაჟა-ფშაველას ქუჩა №10

ტელ: **(0439) 22 11 91; 595 06 86 47**
email: koleji.erqvani@gmail.com

ბატონო ფრიდონ,

თქვენი 2021 წლის 22 მარტის № MES 5 21 0000266896 (შიდა №697356) წერილს (სამსახურში რეგისტრაციის N 716168) საფუძველზე, საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის ზედამხედველობის დეპარტამენტის პრევენციისა და რეაგირების სამმართველოს ინსპექტორის მიერ შემოწმებული იქნა ქ. ამბროლაური, ვაჟა-ფშაველას ქუჩა №10-ში, მდებარე სსიპ პროფესიული კოლეჯი "ერქვანი"-ს კუთვნილი შენობა-ნაგებობის ხანძარსაწინააღმდეგო მდგომარეობა, რომლის საფუძველზეც გიგზავნით 2021 წლის 12 აპრილის №47 აქტს.

2021 წლის 12 აპრილის №47 სახანძრო-ტექნიკური შემოწმებისა და გამოკვლევის აქტის შესაბამისად დგინდება, რომ სსიპ პროფესიული კოლეჯი "ერქვანი"-ს ხანძარსაწინააღმდეგო მდგომარეობა შეესაბამება სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების მარეგულირებელ ნორმებს.

დანართი: "3" ფურცელი.

სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება-საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური /

ზედამხედველობის დეპარტამენტი
დეპარტამენტის უფროსი
ვარშანიძე როინ

სახანძრო უსაფრთხოების ზედამხედველობის ობიექტის
სახანძრო-ტექნიკური შემოწმების და გამოკვლევის აქტი

ა ქ ტ ი № 47

ქ. თბილისი 12 აპრილი 2021 წ.

ობიექტის დასახელება: სსიპ პროფესიული კოლეჯი ,,ერქვანი"

ობიექტის მისამართი: ქ. ამბროლაური ვ. ფშაველას ქ. N10

ობიექტის მფლობელი/მესაკუთრე: სსიპ პროფესიული კოლეჯი ,,ერქვანი"
საიდენტიფიკაციო ნომერი: 222934671

ობიექტის მფლობელი კომპანიის ხელმძღვანელის სახელი, გვარი, პირადი ნომერი:
ფრიდონ ბუაძე პ/ნ 04001005384

შემოწმებაში მონაწილე ობიექტის წარმომადგენელი:

- სსიპ პროფესიული კოლეჯ ,,ერქვანის"-ს დირექტორის მოადგილე ილია ოშხერელი (ტ. 595068646)

ობიექტის შემოწმების განმახორციელებელი ზედამხედველობის ინსპექტორ(ებ)ი:

- საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის ზედამხედველობის დეპარტამენტის პრევენციისა და რეაგირების სამმართველოს უმცროსი ინსპექტორი: დავით დარახველიძე

შემოწმების თარიღი: 05.04.2021 წ

ობიექტის შემოწმების საფუძველი: **2021** წლის **22** მარტის **№ 266896** (შიდა **№697356**) წერილს. ობიექტის შენობა-ნაგებობები რაზედაც ჩატარდა სახანძრო-ტექნიკური შემოწმება გამოკვლევა:

- სსიპ პროფესიული კოლეჯ ,,ერქვანის"-ს ორ (2) სართულიანი შენობა ს/ფ (1225,026მ²)

ჩატარებული სახანძრო-ტექნიკური შემოწმების (გამოკვლევის) საფუძველზე
შედგა წინამდებარე აქტი:

1. ობიექტზე (შენობა-ნაგებობა) სახანძრო უსაფრთხოების წესებისა და პირობების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნების შესრულების ანალიზი და შეფასება:

(აღინიშნება სახანძრო უსაფრთხოების საორგანიზაციო ღონისძიებათა, ტექნიკური რეგლამენტით გათვალისწინებული დოკუმენტების, ბრძანებების, ინსტრუქტაჟების შესაბამისი ინსტრუქციების და სხვათა არსებობა. მათი შესაბამისობა ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნებთან.)

„სახანძრო უსაფრთხოების წესების და პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2015 წლის 23 ივლისის N 370-ე დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტის შესაბამისად, პროფესიული კოლეჯი ,,ერქვანი"-ს თანამშრომლებისათვის ჩატარებელია სახანძრო უსაფრთხოების წესების სწავლება ინსტრუქტაჟის გზით.

2. ხანძრის ჩაქრობის პირველადი საშუალებების არსებობა და შეფასება:

(აღინიშნება ხანძრის ჩაქრობის პირველადი საშუალებების არსებობა და შესაბამისობა ტექნიკური რეგულირების დოკუმენტების მოთხოვნებთან)

ტექნიკური რეგულირების დოკუმენტების მოთხოვნათა შესაბამისად, პროფესიული კოლეჯი ,,ერქვანის" შენობა დაკომპლექტებელია ხანძრის ქრობის პირველადი საშუალებებით - ცეცხლმაქრებით, ზღვრული დასაცავი ფართობის და ცეცხლმაქრის ტიპის გათვალისწინებით, რაც შეესაბამება დადგენილი სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებს.

3. ობიექტის (შენობა-ნაგებობა) საევაკუაციო გზებისა და გასასვლელების შეფასება:

(აღინიშნება ობიექტის საევაკუაციო გზებისა და გასასვლელების შესაბამისობა ტექნიკური რეგულირების დოკუმენტების მოთხოვნებთან)

ტექნიკური რეგულირების დოკუმენტების მოთხოვნათა შესაბამისად, პროფესიული კოლეჯი ,,ერქვანი"-ს შენობის სართულების საევაკუაციო გასასვლელები შეესაბამება სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებს.

4. ელექტრომოწყობილობების და ელექტროქსელების მდგომარეობის შეფასება:

(აღინიშნება ელექტრომოწყობილობების და ელექტროდანადგარების მოწყობის შესაბამისობა ნორმატიულ მოთხოვნებთან, ელექტროქსელების მონტაჟის და ექსპლუატაციის მდგომარეობა და სხვა)

პროფესიული კოლეჯი ,,ერქვანი"-ს შენობის ელექტრო მოწყობილობების და ელექტროქსელის ზოგადი მდგომარეობა აკმაყოფილებს ელექტროდანადგარების მოწყობის წესებს.

5. კვამლსაწინააღმდეგო ვენტილაციის და გათბობის სისტემების მდგომარეობის შეფასება:

(აღინიშნება სავენტილაციო კამერების, მზღუდავი კონსტრუქციების, არხების, ჰაერსატარების ცეცხლმედეგობის ხარისხის, გაყვანისა და მონტაჟის, აგრეთვე თბომაგენერირებელი სისტემების მოწყობის შესაბამისობა ტექნიკური რეგულირების დოკუმენტების მოთხოვნებთან)

პროფესიული კოლეჯი ,,ერქვანი"-ს შენობას კვამლსაწინააღმდეგო ვენტილაციის სისტემა არ ესაჭიროება.

6. სახანძრო სიგნალიზაციის მდგომარეობის შეფასება:

(აღინიშნება სახანძრო სიგნალიზაციის საჭიროება, მდგომარეობა, მისი ექსპლუატაციის წესების დაცვა და შესაბამისობა ტექნიკური რეგულირების დოკუმენტების მოთხოვნებთან)

პროფესიული კოლეჯი „ერქვანი"-ს შენობაში დამონტაჟებულია სახანძრო სიგნალიზაცია, რომელიც შეესაბამება სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნას.

7. ხანძრის დროს ადამიანთა მაუწყებლობის და ევაკუაციის მართვის სისტემების მდგომარეობის შეფასება:

(აღინიშნება ხანძრის დროს ადამიანთა მაუწყებლობის და ევაკუაციის მართვის სისტემების საჭიროება, მდგომარეობა, მისი ექსპლუატაციის წესების დაცვა, საევაკუაციო განათების არსებობა და მდგომარეობა, ხანძრის დროს ადამიანთა ევაკუაციის გეგემების არსებობა, საევაკუაციო გზების მანიშნებელი ნიშნების არსებობა. შესაბამისობა ტექნიკური რეგულირების დოკუმენტების მოთხოვნებთან)

პროფესიული კოლეჯი „ერქვანი"-ს შენობაში დამონტაჟებული ხანძრის დროს ადამიანთა მაუწყებლობისა და ევაკუაციის მართვის სისტემა შეესაბამება სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებს. შენობის საევაკუაციო გზებზე მოწყობილი „საევაკუაციო გზის" მიმართულების მაჩვენებელი მანათობელი ნიშნები და ავარიული განათება, შეესაბამება სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებს.

8. ობიექტის ხანძრის ჩაქრობის ავტომატური სისტემების მდგომარეობის შეფასება:

(აღინიშნება ხანძრის ჩაქრობის ავტომატური სისტემების საჭიროება, არსებულის მდგომარეობა, მისი ექსპლუატაციის წესების დაცვა და შესაბამისობა ტექნიკური რეგულირების დოკუმენტების მოთხოვნებთან)

პროფესიული კოლეჯი „ერქვანი"-ს შენობა ხანძრის ჩაქრობის ავტომატური სისტემის მოწყობას არ საჭიროებს.

9. ობიექტის ხანძარსაწინააღმდეგო წყალმომარაგების შეფასება:

(აღინიშნება შიდა და გარე ხანძარსაწინააღმდეგო წყალმომარაგების სისტემების მდგომარეობა, საჭიროება და მათი შესაბამისობა ტექნიკური რეგულირების დოკუმენტების მოთხოვნებთან)

პროფესიული კოლეჯი „ერქვანი"-ს შენობას არ ესაჭიროება შიდა სახანძრო წყალმომარაგების სისტემა.

10. აფეთქებასაშიში ნივთიერებათა შენახვის პირობების შეფასება:

(აღნიშნება აფეთქებახანძარსაშიში ნივთიერებათა შენახვის პირობები და მათი შესაბამისობა ტექნიკური რეგულირების დოკუმენტების მოთხოვნებთან)

შპროფესიული კოლეჯი „ერქვანი"-ს შენობაში არ ინახება და არ გამოიყენება აფეთქებახანძარსაშიში ნივთიერებები.

შემაჯამებელი შეფასება ობიექტის შესაბამისობის შესახებ:

შეესაბამება ☑ **არ შეესაბამება** ☐

ხელმოწერა: _____